ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

ფსიქოლოგია....3

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა....7

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა....11

მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა....16

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „ მასწავლებელი“ 19

პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია **Psychology**
საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სტუდენტის სტატუსის მოპოვება.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	მეცნიერების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში BSc in Psychology
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11ა
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
	ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
	-
საკონტაქტო პირი	
	პროგრამის კოორდინატორი: თ. გაგოშიძე, მ. მელიქიშვილი, ხ. მარწყვიშვილი
	ტელ.: +995 577 57 59 72, +995 555 33 63 83, +995 599 17 55 15
	ელფოსტა: tamar.gagoshidze@tsu.ge, manana.melikishvili@tsu.ge, khatuna.martskvishvili@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საფაკულტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	145
არჩევითი დარგობრივი	35
დამატებითი პროგრამა (minor)	60
სულ	240

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამა ,,ფსიქოლოგია'' ეყრდობა თსუ მისიას და მიზნებს და თავის მხრივ მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს: • მისცეს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის ფუნდამენტური ცნებების, პრინციპების, კანონზომიერებებისა და თეორიების შესახებ; • განუვითაროს სამეცნიერო წყაროების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, სამეცნიერო სიახლეების მოძიებისა და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი; • გამოუმუშავოს ემპირიული კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი; • გამოუმუშავოს ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარი; • განუვითაროს შეძენილი თეორიული ცოდნის, პრაქტიკული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების საფუძველზე საკუთარი პროფესიული საქმიანობის უნარი.
სწავლის მეთოდები
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებს სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა/სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამის სწავლასწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლა/სწავლების მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარს. სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა —პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა/სწავლების მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლა/სწავლების მეთოდებს: • ლექცია; • სემინარი/სამუშაო ჯგუფი; • პრაქტიკული მეცადინეობა; • კონსულტაცია; • დისკუსია/დებატები, • თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, • ჯგუფური (collaborative) მუშაობა, • დემონსტრირება, • ახსნა-განმარტება, • გონებრივი იერიში, • შემთხვევების ანალიზი (Case study), • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), • როლური/სიტუაციური თამაშები • ელექტრონული სწავლება (e-learning) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაძლოა, იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
შეფასება
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს — შუალედურ (ერთან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო და სხვა. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში (შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის
საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების მიღების შემდეგ ხდება უკუგება სტუდენტსა და პედაგოგს შორის მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირი სხვდასხვა ფორმისაა აუდიტორიაში, საკონსულტაციო საათებისთვის გამოყოფილ დროს, ან ელექტრონული ფოსტით სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ფსიქოლოგიის ბაკალავრი:
1. მსჯელობს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, კონცეპტუალურ საფუძვლებზე, მიზნებსა და ამოცანებზე, კრიტიკულად აფასებს ფსიქოლოგიურ თეორიებსა და კვლევებს;
2. აანალიზებს და მსჯელობს ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებების, ფსიქიკისა და თავის ტვინის ურთიერთმიმართების, ინდივიდის განვითარების, სწავლა/სწავლების, მისი პიროვნული, სოციალური, ორგანიზაციული და კულტურული ქცევის ასპექტების შესახებ განსხვავებული პერსპექტივიდან, სხვადასხვა მეთოდის, თეორიის, მტკიცებულებისა და მიდგომის გათვალისწინებით;
3. განმარტავს საკვლევი საკითხის აქტუალობის, სიახლის, კვლევისათვის ადეკვატური მეთოდებისა და ვალიდური ინსტრუმენტების შერჩევის აუცილებლობას.

უნარები

ფსიქოლოგიის ბაკალავრს შეუძლია:
4. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ლოგიკური არგუმენტების წარმოდგენა, რომლებიც ეხება მოცემულ პრობლემას ან საქმიანობას. საჯარო მოხსენების გაკეთება და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
5. მცირემასშტაბიანი ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება კვლევის ადექვატური მეთოდის (დაკვირვება, ექსპერიმენტი, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი) გამოყენებით; რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაცემებისა და შედეგების გაანალიზება, წარმოდგენა და შეფასება; სხვადასხვა ინსტრუმენტით, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით, ლაბორატორიული აღჭურვილობითა და ფსიქომეტრული ინსტრუმენტებით სარგებლობა; შესრულებული სამუშაოს (კვლევის) ანგარიშის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომზადება.
6. საზოგადოებრივი პრობლემების გადასაწყვეტად ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენება ეთიკური, კონცეპტუალური, ორგანიზაციული და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით;

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

ფსიქოლოგიის ბაკალავრი:

7. აღიარებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლი პრინციპის მნიშვნელობასა და პროფესიული განვითარების გაგრძელების აუცილებლობას. კონსტრუქციულად და კრიტიკულად აანალიზებს საკუთარი სწავლის შედეგებს;

8. აცნობიერებს საზოგადოებაში ფსიქოლოგის პროფესიის როლს, სტაბილური, დემოკრატიული და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარებაში.

დასაქმების სფეროები

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმება შესაძლებელია: სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება ფსიქოლოგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, სასჯელაღსრულების სამინისტროების შესაბამის დეპარტამენტებსა და ცენტრებსა და ორგანიზაციებში; ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომლის საქმიანობა უკავშირდება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღზრდა–განვითარებას თუ სწავლებას, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვასა და რეაბილიტაციას, მათთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენას. კერძო სტრუქტურაში ან სახელმწიფო ორგანიზაციაში, რომლის ინტერესები მოიცავს ორგანიზაციული ცვლილებებისა და განვითრების, ადამიანური რესურსის მართვის და შეფასების სისტემების შესწავლასა და დაგეგმვას; კონკრეტულ კვლევით პროექტებში, სასწავლო და ტრენინგ-პროგრამებში.

პროგრამის სახელწოდება	**ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა** Bachelor Program in Occupational Therapy
საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი მოთხოვნაა უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე; პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ოკუპაციური თერაპევტის ბაკალავრი Bachelor Of Occupational Therapy
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11ა
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ფსიქოლოგიის დეპარტამენტი -
საკონტაქტო პირი	**პროგრამის ხელმძღვანელები:** თამარ გაგოშიძე - თსუ პროფესორი ჯოანა (ჰანეკე) ვან ბრუგენი - დოქტორის საპატიო სამეცნიერო ხარისხი, ბრაიტონის უნივერსიტეტი **კოორდინატორი:** ნინო რუხაძე ელ-ფოსტა: nino.ruxadze@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	

კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საფაკულტეტო	205
სავალდებულო დარგობრივი	
არჩევითი დარგობრივი	35
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	240

პროგრამის მიზანი

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

 ოკუპაციური თერაპევტების მომზადება, რომლებიც ამ დარგის საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს გამოიყენებენ პროფესიული საქმიანობისას ოკუპაციური საჭიროების მქონე ადამიანთან, ჯგუფსა თუ თემთან;

 საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის ოკუპაციური ბუნებისა და ოკუპაციური სამართლიანობის მნიშვნელობის შესახებ ადამიანისა თუ თემის ფუნქციონირების, ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხისა და კეთილდღეობის განსაზღვრისას;

 საქართველოში კლიენტზე ცენტრირებული და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ოკუპაციური თერაპიის სერვისების განვითარებაში წვლილის შეტანა.

სწავლის მეთოდები

სასწავლო პროგრამა აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპზე და სწავლა-სწავლებისას გამოიყენება მრავალფეროვანი ინტერაქტიური მეთოდები:

- დისკუსია
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- შემთხვევის ანალიზი
- გონებრივი იერიში
- დემონსტრირების
- ახსნა-განმარტებითი
- ქმედებაზე ორიენტირებული

სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტს მხარდაჭერას უწევს მენტორი პორტფოლიოს წარმოების კურსების ფარგლებში, რომელიც ეხმარება სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დასახვაში, სასურველი გამოცდილების და რესურსების მოძიებაში, თვით-კრიტიკული უნარ-ჩვევის გამომუშავებაში.

შეფასების პროცედურები

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით

გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულაა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:
პროგრამის კურსდამთავრებული:
1. განიხილავს პიროვნებას ჰოლისტურად, ითვალისწინებს რა მის ფიზიკურ, გონებრივ, ემოციურ და სულიერ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და პოტენციალს;
2. ხსნის ადამიანის/ჯგუფის/თემის საქმიანობასა და მის სირთულეებს ოკუპაციური თერაპიისა და ფუნქციონირების საერთაშორისო მოდელების გამოყენებით (როგორებიცაა: ადამიანის ოკუპაციის მოდელი (MOHO), ოკუპაქციური ქმედების კანადური მოდელი (CMOP), ფუნქციუონირების, ჯანმრთელობისა და შეზღუდული შესაძლებლობის საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICF) და სხვა);
3. არგუმენტირებულად მსჯელობს თერაპიულ მეთოდებზე, სტრატეგიებსა და მიდგომებზე და მათი გამოყენების პრინციპებზე (როგორებიცაა: კლიენტზე ცენტრირებული მიდგომა, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, პრევენცის, განათლების სტრატეგიები და ა.შ.);
უნარები:
4. ქმნის სხვადასხვა ასაკის, საჭიროებისა და რესურსების მქონე ადამიანის, ჯგუფისა და თემის ოკუპაციურ პროფილს ოკუპაციური თერაპიის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;
5. იყენებს საქმიანობებს/ოკუპაციას ადამიანთან, ჯგუფთან და თემთან მტკიცებულებაზე დაფუძნებული თერაპიული მუშაობისას;
6. იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან გზებსა და სტრატეგიებს კლიენტთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას;
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:
7. დამოუკიდებლად ახორციელებს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკას ინდივიდთან, ჯგუფთან და თემთან პროფესიული ეთიკის, მომსახურებისა და დოკუმენტირების წესების დაცვით;
8. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესს;
9. მონაწილეობს პროფესიის შესახებ საზოგადოების განათლებასა და მომსახურების განვითარებაში.

დასაქმების სფეროები

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმება შესაძლებელია ყველა იმ სფეროში, სადაც ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს ექმნებათ ოკუპაციური საჭიროებები: უჭირთ ან ვერ ახორციელებენ მათთვის საჭირო და მნიშვნელოვან საქმიანობებს, როგორიცაა თავის მოვლა, პროდუქტული საქმიანობა/მუშაობა და დასვენება/სოციალიზაცია. შესაბამისად, დასაქმების სფეროები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება პედიატრიული, ნევროლოგიური, ორთოპედიული, ფსიქიკური ჯანმრთელობის, გერიატრიული, თემზე დაფუძნებული მიმართულებებითა და სერვისებით. დიპლომირებული ოკუპაციური თერაპევტები მუშაობენ რეაბილიტაციის ცენტრებში, სტაციონარში თუ ამბულატორიაში, დღის თუ სადღეღამისო მოვლის ცენტრებში, პალიატიური მზრუნველობის ცენტრებში, მზრუნველობას მოკლებულ პირთათვის არსებულ სახლებსა თუ პანსიონებში, ბაგა-ბაღში, ზოგადსაგანმანათლებლო თუ სპეციალიზებულ სკოლებში, პროფესიულ სასწავლებლებში, მხარდამჭერი დასაქმების ცენტრებში, დამხმარე საშუალებების შექმნის, შერჩევის და მორგების სერვისის უზრუნველყოფის ცენტრებში,

სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში. ასევე, მონაწილეობენ კვლევით პროექტებში, სწავლებასა და ტრენინგებში.

პროგრამის სახელწოდება	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers
საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე; პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი Master of Education, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი Subject Teacher/Subject Group Teacher of General Education Primary School
სწავლების ხანგრძლივობა	10 სემესტრი
ECTS	300
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11ა
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი განათლების დეპარტამენტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის სრული პროფესორი. ტელ: 22 23 76; 593 33 12 18, 2 22 23 76; ელ-ფოსტა: ketevan.chkuaseli@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საფაკულტეტო	25
სავალდებულო დარგობრივი	255
არჩევითი დარგობრივი	20
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	300

პროგრამის მიზანი

დაწყებითი განათლების საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, რომელიც ფლობს I - IV კლასების ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ კომპეტენციებს, დამატებით V - VI კლასის ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველებიდან ერთ-ერთს, ორს ან ყველა საგნის კომპეტენციას;

პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა:

- მიიღოს ცოდნა დაწყებითი საფეხურის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- მიიღოს ცოდნა დაწყებითი საფეხურის ეროვნულო სასწავლო გეგმაში გაწერილ საგნობრივ დისციპლინებში, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- შეძლოს პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური ცოდნის საგნობრივ ცოდნასთან ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება.
- პროგრამა უზრუნველყოფს მომავალი მასწავლებლის მსოფლმხედველობის ფორმირებას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას, ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას;

სწავლის მეთოდები

- ლექცია;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
- სემინარი;
- პრაქტიკული მუშაობა;
- ელექტრონული რესურსით სწავლება;
- გონებრივი იერიში;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- როლური და სიტუაციური თამაში;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- შემთხვევის შესწავლა;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ანალიზის მეთოდი;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის

სილაბუსში.

შეფასების პროცედურები

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინების მოდულში გაწერილი საკითხები;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ მოდულში გაწერილი საკითხები;

- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მათემატიკის საგნობრივ მოდულში გაწერილი საკითხები;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ბუნებისმეტყველების საგნობრივ მოდულში გაწერილი საკითხები;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოდულში გაწერილი საკითხები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად, კონკრეტული სასწავლო/სააღმზრდელო პროცესის ძირითადი მიზნებისა და ორიენტირების განსაზღვრა და გადაჭრის გზების დასახვა;
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში პედაგოგიკის ძირითადი ცნებების მიზნობრივად გამოყენება;
- მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული გარემოს ფორმირება, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება;
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში სსსმ მოსწავლის ინკლუზიის სწორად განხორციელება;
- საგნობრივ მოდულებში წარმოდგენილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზაცია;
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნა;
- უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

დასკვნის უნარი:

- სასწავლო პროცესში პრობლემის განსაზღვრა, ანალიზი და გადაწყვეტის გზების დასახვა;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების სრულყოფისათვის საკუთარ სამუშაო სფეროში ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და დასკვნის გაკეთება;
- კოლეგებთან ერთად სპეციალური კვლევითი საქმიანობების დაგეგმვა, განხორციელება და პრაქტიკაში გამოყენება;
- თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

კომუნიკაციის უნარი:

- სხვათა აზრებისა და არგუმენტების მოსმენა და კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია;
- პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან დისკუსია;
- პროფესიული საქმიანობისა და პრობლემების შესახებ წერილობითი დოკუმენტაციის წარმოება;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- კულტურათაშორისი დიალოგი.

სწავლის უნარი:

- მოცემულ დისციპლინაში ახალი მასალის მოძიებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- საკუთარი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის, განვითარების გზებისა და საშუალებების მოძიებისა და განხორციელების უნარი;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და რეცეფციის უნარი.

ღირებულებები:

- მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრება და განვითარება;
- მოსწავლის პიროვნების, მისი ინდივიდუალური თავისებურებების პატივისცემა და აღიარება;
- მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემა;
- მოსწავლეებისადმი ობიექტური და თანასწორი დამოკიდებულება;
- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების დაცვა;

- პროფესიული მუშაობის წარმართვა განათლების სისტემის სახელმწიფო სამართლებრივი რეგულაციების დაცვით;
- სასწავლო პროფესიული გარემოს განვითარების მოტივაცია, საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, კოლეგებთან მოსწავლეებთან, მშობელთა საზოგადოებასთან და თემთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

დასაქმების სფეროები

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის (I - VI კლასების) შესაბამისი საგნის (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება), I - IV კლასების საგნობრივი ჯგუფის (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) მასწავლებელი (პროფესიით მუშაობის დაწყება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად).
- კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ დასაქმდნენ განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში.

პროგრამის სახელწოდება	**მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა** / Multilingual Education - Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers
საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე; პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის უფლება ასევე შეუძლია მოიპოვოს თსუ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის აღების შემთხვევაში.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი/Master of Education, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/Subject Teacher/Subject Group Teacher of General Education Primary School
სწავლების ხანგრძლივობა	10 სემესტრი
ECTS	300
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11ა
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი განათლების დეპარტამენტი -
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია. ელ-ფოსტა: kakha.gabunia@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საფაკულტეტო	25
სავალდებულო დარგობრივი	265
არჩევითი დარგობრივი	10
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	300

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია დაწყებითი განათლების საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, რომელიც ფლობს I - IV კლასების მშობლიური ენის (სომხური / აზერბაიჯანული) ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ კომპეტენციებს, დამატებით V - VI კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან ერთ-ერთი ან მაქსიმუმ ორი საგნის / საგნობრივი მიმართულების კომპეტენციას; კერძოდ, პროგრამის ამოცანაა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის / საგნის / საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, პროგრამა უზრუნველყოფს: ა. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოამზადოს დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი; პედაგოგიკურფსიქოლოგიური ცოდნის საგნობრივ ცოდნასთან ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით, შეძლოს ეფექტური პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება. ბ. დაწყებითი საფეხურის დარგის / საგნის პედაგოგი აღიჭურვოს დარგობრივი და მეორე ენის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) კომპეტენციებით; გ. კურსდამთავრებული დაეუფლოს მულტილინგვური განათლების სფეროსთვის დამახასიათებელ სტრატეგიებს, ხერხებსა და მეთოდებს და ადეკვატურად გამოიყენოს ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მიდგომა სწავლა/სწავლების პროცესში; დ. კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდეს და სწავლების პროცესში ასახოს ლიბერალური მსოფლმხედველობრივი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები; შეიძინოს ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული კომპეტენციები; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.

სწავლის მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებულია როგორც დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების, ასევე საქართველოს განათლების მეცნიერებების განვითარების გამოცდილება: ისეთი მეთოდები, როგორებიცაა დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა– განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა . აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის და სხვ. ფორმატში

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი

და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლის შედეგები

მულტილინგვური განათლების (დაწყებითი განათლების საფეხური) პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

ცოდნა და გაცნობიერება :

1. განმარტავს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებსა და შესაბამის მოთხოვნებს;
2. აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, რაც უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამის საგნის/საგნობრივი ჯგუფის ცოდნას;
3. იცნობს ბავშვის კოგნიტურ, ფსიქო-სოციალურ და ფიზიკური განვითარების თავისებურებებს და სწავლის პროცესზე მათ გავლენას;

უნარი:

4. იყენებს მულტილინგვური განათლების სფეროსთვის დამახასიათებელ სტრატეგიებს, შეფასების ხერხებსა და მეთოდებს პრობლემების გადასაჭრელად;
5. სწორად გეგმავს და ორგანიზებას უკეთებს სასწავლო პროგრამას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
6. ეფექტურად იყენებს სწავლება/სწავლის პროცესის ძირითადი პრინციპების, მეთოდების, სტრატეგიების, ორგანიზებისა და შეფასების ფორმებს მოსწავლეთა მიღწევების ასამაღლებლად; პროფესიულ გარემოში პრაქტიკულად იყენებს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს;
7. ახორციელებს ენისა და საგნის სასწავლო გეგმის ინტეგრირებას ისე, რომ საგნის სასწავლო გეგმა ეხმარებოდეს ენის შესწავლას და პირიქით

ავტონომია და პასუხისმგებლობა:

8. თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს განათლების სფეროში საკუთარ ცოდნას და განსაზღვრავს შემდგომ სწავლის საჭიროებებს; სწავლა/სწავლების პროცესში დასახული კონკრეტული მიზნისათვის მოიძიებს საჭირო სიახლეებს ; აქვს დამოუკიდებლად შესწავლის უნარი და დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;
9. მოსწავლეს (მათ შორის სხვადასხვა ტიპის უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფებს) აღიქვამს სრულფასოვან პიროვნებად, ზრუნავს მასზე და ავლენს მის მიმართ პატივისცემას; უვითარდება ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა ზრუნავს ;მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობაზე;
10. პატივს სცემს და იღებს სხვადასხვა აღმსარებლობას, კულტურასა და ტრადიციებს და მრავალფეროვნების, ბილინგვიზმისა და მულტიკულტურალიზმისადმი უვითარდება პოზიტიური დამოკიდებულება.

დასაქმების სფეროები

არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო და კერძო სკოლების დაწყებითი საფეხურის (I - VI კლასების) შესაბამისი საგნის (ქართული, როგორც მეორე ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები), ასევე – I - IV კლასების საგნობრივი ჯგუფების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები) მასწავლებელი (პროფესიით მუშაობის დაწყება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად). კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ დასაქმდნენ განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო (საგანმანათლებლო რესურსცენტრები, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ-ებსა და სხვა

ქვეუწყებებში) და არასამთავრობო სექტორში.

პროგრამის სახელწოდება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „ მასწავლებელი“
საფეხური	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის ბაკალავრი/მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით;
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	კვალიფიკაციას არ ანიჭებს
სწავლების ხანგრძლივობა	2 სემესტრი
ECTS	60
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11ა
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
	განათლების დეპარტამენტი
	-
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი
	ქეთევან ჭკუასელი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის პროფესორი.
	ტელ: 032 2 22 23 76; 593 33 12 18, 222 23 76;
	ელ-ფოსტა: ketevan.chkuaseli@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საფაკულტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	55

არჩევითი დარგობრივი	5
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	60

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წარჩინებული მასწავლებლის /და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის / კომპეტენციის მქონე პედაგოგების მომზადება, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის / საგნის სპეციალისტის აღჭურვა პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტმა მიიღოს ცოდნა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ და შეძლოს საგნობრივ ცოდნასთან მისი ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება.

სწავლის მეთოდები

- კონკრეტული სასწავლო დისციპლინების შესწავლის პროცესში სწავლების - ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, მოვლენებსა და საგნებზე უშუალო- დაკვირვებითი მეთოდები;
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით - ჯგუფური მუშაობა, პროექტით სწავლება, პრობლემური სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- კონკრეტულ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში პედაგოგიკის ძირითადი ცნებების მიზნობრივად გამოყენება,
- აღზრდის მიზნიდან გამომდინარე, კონკრეტული ამოცანების დასახვა და გადაჭრის გზების მოძებნა,
- სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და მართვა,
- სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა,
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება,
- კლასის ეფექტური მართვა,
- გაკვეთილის ეტაპების მართვა,
- სწავლება / სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება,
- შეფასების სისტემის მეთოდების მორგება კონკრეტულ სასწავლო სიტუაციასთან,
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ინკლუზიის სწორად განხორციელება სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა,
- ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა,
- პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა,
- სასწავლო პროცესში მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობა,
- სასწავლო რესურსების გამოყენების უნარი,
- საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, შეფასებისა და თვითკრიტიკის უნარი.
- დასკვნის უნარი: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:
- კოლეგებთან ერთად სპეციალური კვლევითი საქმიანობების დაგეგმვა, განხორციელება და პრაქტიკაში გამოყენება,
- საკუთარ სამუშაო სფეროში ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი,
- სასწავლო პროცესში პრობლემის განსაზღვრის, ანალიზისა და გადაწყვეტის გზების დასახვის უნარი,
- კომუნიკაციის უნარი: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:
- სხვათა აზრებისა და არგუმენტების მოსმენა და კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია,
- ქართულ და უცხო ენაზე პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან დისკუსია,
- პროფესიული საქმიანობისა და პრობლემების შესახებ წერილობითი დოკუმენტაციის წარმოება,

- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება,
- კულტურათაშორისი დიალოგი.

უნარი: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს:

- მოცემულ დისციპლინაში ახალი მასალის მოძიებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი,
- საკუთარი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის, განვითარების გზებისა და საშუალებების მოძიებისა და განხორციელების უნარი.
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და რეცეფციის უნარი.

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს:

- პროგრამის გავლა მსმენელს გაუფართოებს მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერს აღნიშნულ სფეროში და დაეხმარება მას შეიძინოს სწავლება/სწავლის პროცესისათვის ისეთი არსებითი ზნეობრივი ღირებულებები, როგორებიცაა:
- მოსწავლის პიროვნების პატივისცემა,
- მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემა,
- მოსწავლეებისადმი ობიექტური და თანასწორი დამოკიდებულება,
- მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა,
- პროფესიული ეთიკური ღირებულებები,
- თანამშრომლობითი უნარები,
- სასწავლო პროფესიული გარემოს განვითარების მოტივაცია,
- მშობელთა საზოგადოებასთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება.
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები
- სწავლის შედეგები მიიღწევა:
- კონკრეტული სასწავლო დისციპლინების შესწავლის პროცესში სწავლების - ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, მოვლენებსა და საგნებზე უშუალო- დაკვირვებითი მეთოდების გამოყენებით;
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით - ჯგუფური მუშაობა, პროექტით სწავლება, პრობლემური სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.
- შეფასების სხვადასხვაგვარი მეთოდისა და სახეების გამოყენებით.
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს სახელმწიფო რეგულაციის საფუძველზე თსუ–ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას, კერძოდ, დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება უნდა განხორციელდეს 100–ქულიანი სისტემით. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

დასაქმების სფეროები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის (7-12 კლასები) შესაბამისი საგნის მასწავლებელი